პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ამიერკავკასიის რკინიგზელი

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, პოლიტგანყოფილების და პროფკავშირის საგზაო კომიტეტის ორგანო
«Железнодорожник Закавказья» — орган управления, политотдела и зорпрофсожа Закавказской железной дороги.

შაბათი
10
მარტი
1956 წელი
№ 30 (4492)
ფასი 15 კაპ.

ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავი

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი

[illegible] გვიდა, რაც გარდა- [illegible] სტალინი — კომუ- [illegible] პარტიისა და საბჭოთა [illegible] გენიალური დამაა- [illegible] ლენინის გამოჩე-

[illegible] დიდმა ლენინმა [illegible] გაზარდეს როგორც [illegible] ესად თვალსაჩინო [illegible], როგორც გა- [illegible] მარქსისტი, რომელსაც [illegible] მარქსისტულ- [illegible] ოლოგია.

[illegible] ნინის მთელი მოღვა- [illegible] ი ყო მშრომელი [illegible] ხსახურის კეთილ- [illegible] საქმისადმი, კომუნი- [illegible] ებისათვის, ლენინის [illegible] წარდასახულობათა [illegible] ებისათვის ბრძოლი- [illegible] ი. ბ. სტალინი [illegible] მე შემეხება, მე [illegible] ნინის მოწაფე ვარ [illegible] ების მიზანია ვი- [illegible] ული მოწაფე".

[illegible] ნმა, რომელიც შე- [illegible] ავითარებდა მარ- [illegible] ისტორიულ პირობე- [illegible] შორსმჭვრეტე- [illegible] ებთა ჩამორჩენი- [illegible] რუსეთის მძლავრ, [illegible] ალისტრიულ- საკოლ- [illegible] ლმწიფოდ გადაქ- [illegible] საზოგადოების რე- [illegible] გარდაქმნის ეს [illegible] ულად დასაბუ- [illegible] ნური გეგმა, რო- [illegible] მშრომელი მასე- [illegible] ენერგიასა და [illegible] საფუძვლად დაედო [illegible] პარტიის მთელ მო-

[illegible] ობდა რა ლენინ- [illegible] კომუნისტურმა [illegible] გიგანტური შე- [illegible] მუშაობა ჩვენს [illegible] ალიზმის მშენებ- [illegible] ი. ლენინის გარ- [illegible] შემდეგ პარტია გა- [illegible] აგრძობდა ამ მუ- [illegible] ური კომიტეტის [illegible] ძღვანელობით.

[illegible] ში ჩამოყალიბდა [illegible] ლმძღვანელი პირ- [illegible] ი. ბ. სტალინის [illegible] ბილა და გაანად- [illegible] ტებრ, ბუხარინე- [illegible] ბიული ნაციონა- [illegible] ლის სხვა უბო- [illegible] ები, რომლებიც [illegible] ენინური გზისათ- [illegible] ებინათ პარტია და

[illegible] ია კაპიტულანტე- [illegible] ნი, კაპიტალიზმის [illegible] მომხრენი, კომუ- [illegible] ამ საბჭოთა ხალ- [illegible] სოციალისტური [illegible] ათელი პერსპექ- [illegible] ლად და მტკიცედ [illegible] ელებს ხუთწლია- [illegible] ორციელებისათ- [illegible] ოციალისტური ინ- [illegible] ების დიდი ამო- [illegible] ებისათვის საბ-

[illegible] ძლავრმა შემოქ- [illegible] ებმა, კომუნისტუ- [illegible] დესმა ორგანიზა- [illegible] ობამ უზრუნველ-

ყო სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა საზოგადოების მატერიალური და სულიერი ძალების უაღრესად სერიოზული შემოწმება იყო დიდი სამამულო ომი. უდიდესი საფრთხის დღეებში კომუნისტური პარტიის მოწოდებით მთელი ხალხი აღდგა თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. ომში საბჭოთა ხალხისა და მისი გმირი შეიარაღებული ძალების ისტორიულმა გამარჯვებამ, რაც მოპოვებულ იქნა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ცხადყო ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დიადი ცხოველმყოფელი ძალა და უძლეველობა.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებაში. ეს წარმატებები შესაძლებელი გახდა კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობათა მეოხებით, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის გმირული შრომისა და შემოქმედებითი ინიციატივის მეოხებით. ეს წარმატებები მიღწეულია იმიტომ, რომ ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მთელ თავის საქმიანობაში განუხრელად ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით. შემოქმედებითად ავითარებს მას.

„პარტიის XIX ყრილობის ცოტა ხნის შემდეგ სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი,— თქვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე. — სოციალიზმის მტრებს იმიდი ჰქონოათ, რომ პარტიის რიგებში შეიქმნებოდა დაბნეულობა, ხელმძღვანელობაში უთანხმოება, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში მირყევობა. მაგრამ ეს ვერაფერი ჩაიფუშა. კომუნისტური პარტია კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, უფრო მაღლა აღმართა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე დროშა".

ჩვენი პარტია უძლეველია იმიტომ, რომ იგი თვითკმაყოფილებას არ ეძლევა თავისი წარმატებების გამო, არ ჩქმალავს შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, არ მიმართავს სინამდვილის შელამაზებას, ეწევა გადამწყვეტ ბრძოლას უდარდელობისა და ყოყოჩობის წინააღმდეგ, ფართოდ აჩაღებს კრიტიკასა და თვითკრიტიკას.

პარტიის ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას და პარტიული ორგანიზაციების აქტიურობის გაძლიერებას ხელი შეუწყო პარტიული ცხოვრების იმ ნორმების აღდგენამ, რომლებიც ლენინმა შეიმუშავა. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპის აღდგენას და ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას.

შემოქმედებითი სამუშაოების დიადმა პროგრამამ, რომელიც მოცემულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, მთელი საბჭოთა ხალხის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა მხურვალე მოწონება ჰპოვა.

აღნიშნავენ რა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, დიდი ლენინის თვალსაჩინო მოწაფის — ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავს, მშრომელებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნის საუკეთესო აღნიშვნა იქნება მათი თავდადებული, შემოქმედებითი შრომა, მიმართული ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობისაკენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისაკენ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მუშა-მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების შესახებ

დაწესდეს 1956 წლის 10 მარტიდან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებში და უქმეების წინა დღეებში ნორმალურთან შედარებით ორი საათით შემცირებული, ე. ი. ექვსი საათის ხანგრძლივობის სამუშაო დღე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 8 მარტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მუშა-მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 8 მარტის ბრძანებულების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. 1956 წლის 10 მარტიდან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებში და უქმეების წინა დღეებში ნორმალურთან შედარებით შემოღებულ იქნეს ორი საათით შემცირებული, ე. ი. 6 საათის ხანგრძლივობის სამუშაო დღე.

იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელთაც ამჟამად აქვთ შვიდი საათის სამუშაო დღე, დასვენების წინა დღეებში და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობა დაწესდეს აგრეთვე ექვსი საათი. იმ პირებისათვის, რომელთაც აქვთ ექვსი საათისა და ნაკლები ხნის სამუშაო დღე, სამუშაო დღის ხანგრძლივობა დასვენების წინა დღეებში და უქმეების წინა დღეებში არ შეიცვალოს.

მუშაობა აღნიშნულ დღეებში უნდა დაიწყოს ჩვეულებრივ დროს და შეიძლება წარმოებდეს სადილისათვის შესვენების გამოუყენებლად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის შეთანხმებით პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან.

2. განუწყვეტელ წარმოებაში, აგრეთვე სამუშაოთა ცალკეულ დარგებსა ან სახეობებში, რომლებშიც წარმოების პირობებით შეუძლებელია შემცირებული სამუშაო დღის შემოღება დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში, მიეცეთ მუშებსა და მოსამსახურეებს დამატებით ერთი დასვენების დღე ყოველ ოთხ დასვენების წინა დღესა და უქმეების წინა დღეებში, რომლებიც ნამუშევარია რვა-რვა საათს.

ცალკეულ სეზონურ სამუშაოებზე, სადაც დასვენების დამატებითი დღეების მიცემა სეზონის პერიოდში შეუძლებელია, დაშვებულია, გამონაკლისის სახით ასეთი დღეების შეჯამება მთელი სეზონის განმავლობაში და დამატებითი დასვენების დღეების მიცემა სეზონთა შორის პერიოდში.

სამუშაოთა იმ დარგებისა და სახეობათა ნუსხას, რომლებშიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ პუნქტში აღნიშნული კომპენსაციები, აწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, აგრეთვე საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების მინისტრები, პროფკავშირთა სათანადო ცენტრალურ კომიტეტებთან შეთანხმებით.

3. შემოღებულ იქნეს დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში მუშა-მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების შემდეგი წესი:

ა) დროითი ანაზღაურებისას ხელფასი მიცემულ იქნეს, როგორც სრული სამუშაო დღისათვის;

ბ) ნარდობლივი ანაზღაურებისას ხელფასი გაიცეს შესრულებული სამუშაოს თანახმად, ამასთან საწარმოთა ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მუშათა უფრო მეტი ნაყოფიერი მუშაობის პირობები წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, სამუშაო ადგილის უკეთ მოწყობის, გაცდენისა და სამუშაო დროის სხვა დანაკარგის ლიკვიდაციის გზით, რათა მუშების თვიური ხელფასი არ შემცირდეს დასვენების და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დროის ხანგრძლივობის შემცირებასთან დაკავშირებით.

4. დაევალოს სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს განახორციელონ სჯირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ შემცირებული სამუშაო დღის შემოღებას, ხელფასის დაწესებული ფონდის ფარგლებში სამინისტროებსა და უწყებებში, აგრეთვე წარმოების მოცულობის, შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის თვითღირებულების შესახებ დაწესებულ დავალებათა უთუო შესრულება წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, შინარეზერვების ყველაზე სრული გამოყენებისა და შტატებში ზედმეტობის ლიკვიდაციის საფუძველზე.

5. დაევალოთ სამინისტროთა, უწყებათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე ადგილობრივ ორგანიზაციებს უზრუნველყონ იმ აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესებასთან დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში: ცვლილებანი საგარეუბნო და ადგილობრივი ტრანსპორტის, საზოგადოებრივი კვების საწარმოების, სავაჭრო და კომუნალური საწარმოების, კულტურულ-საგანმანათლებლო და თეატრალურ-სანახაობის, აგრეთვე სპორტული, სამედიცინო და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის რეჟიმში.

ი. ბ. სტალინის სახელობის ქარხანაში

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქროებში იმართება დიდი ლენინის უკვდავი საქმის განმგრძობის, კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საუბრები.

ეს ქარხანა, რომელსაც წინათ რკინიგზის მთავარი სახელოსნოები ეწოდებოდა, განთქმულია თავისი რევოლუციური ტრადიციებით.

ამხანაგი სტალინი იგონებდა, როგორ ჩაიბარა მან პირველად 1898 წელს რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრეები, ამ ამხანაგების წრეში, — ამბობდა ი. ბ. სტალინი,— მოვიდე მე მაშინ ჩემი პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა... ჩემი პირველი მასწავლებლები თბილისის მუშები იყვნენ".

საუბრების დროს მუშები ამბობდნენ, რომ ახლა ჩვენი პარტია ისე ერთიანია, როგორც არასოდეს არ ყოფილა, რომ იგი მჭიდროდ დარაზმულია ცენტრალური კომიტეტის გარშემო და მტკიცე რწმენით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

ამ დღეებში სახელოვანი ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი შრომობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების განსახორციელებლად.

უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა

1956 წლის თებერვლის დღეებში მთელი დედამიწის მილიონობით ადამიანთა ყურადღება იყო მიპყრობილი მოსკოვისაკენ, კრემლისაკენ, სადაც მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა.

უკვდავი ლენინის მიერ შექმნილმა და გამოზრდილმა ჩვენმა პარტიამ მშრომელთა საყოველთაო სიყვარული მოიხვეჭა ხალხისადმი თავისი ერთგულებით, თავდადებული დაუღალავი ბრძოლით საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, რომელიც წარმოადგენს მთელი მშრომელი კაცობრიობის უმაღლეს იდეალს.

უკანასკნელი წლების ამბების მთელმა მიმდინარეობამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ საერთაშორისო ვითარებაში მოხდა ძირფესვიანი ცვლილებანი სოციალიზმის პოზიციების გაფართოებისა და განმტკიცების სასარგებლოდ, სოციალიზმი გასცილდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზი იყო და რჩება სხვადასხვა სოციალური წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა იყო. უდავოა, რომ მისი გადაწყვეტილებანი ზეგავლენას მოახდენენ მსოფლიოს განვითარების მთელ მსვლელობაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა გააკეთა, მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ამომწურავი ანალიზი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის ლენინური პოლიტიკისა და ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში საბჭოთა ხალხის გმირული შრომის შედეგად მოპოვებულია უდიდესი წარმატებანი ჩვენ ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში. ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში უკანასკნელი პერიოდი ხასიათდება დაძაბულობის შენელებით და საერთაშორისო არენაზე მშვიდობის განმტკიცების რეალური პერსპექტივების დასახვით.

კეთილი ნების ყველა ადამიანი მთელ მსოფლიოში მხურვალედ იწონებს იმ ფაქტს, რომ როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო მიღებულ სკკპ XX ყრილობის რეზოლუციაშია აღნიშნული, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზი იყო და არის სხვადასხვა სოციალური წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი. ან მშვიდობიანი თანაარსებობა, ან ომი. სხვა არჩევანი არ არის. მშვიდობის ყველა ჭეშმარიტი მომხრე არჩევანს აკეთებს მშვიდობიანი თანაარსებობის სასარგებლოდ.

მაგრამ კაპიტალისტურ ბანაკში არიან აგრესიული წრეები. სანამ დედამიწაზე არსებობს კაპიტალიზმი, მსოფლიო ბატონობას მოწყურებული კაპიტალისტური მონოპოლიები ისწრაფვიან სამხედრო ავანტიურებისა და აგრესიისაკენ. მაგრამ ამჟამად ომის გაჩაღება არც ისე იოლია. ახლა არსებობს მძლავრი სოციალისტური ბანაკი, რომელსაც გააჩნია მორალური და მატერიალური საშუალებანი აგრესიის თავიდან ასაცილებლად.

აზიის მთელი რიგი ქვეყნების ხალხებმა კისრიდან გადაიგდეს მრავალსაუკუნოვანი კოლონიური ჩაგვრის უღელი. ზანზარებს იმპერიალიზმის დრომოჭმული მთელი სამარცხვინო კოლონიური სისტემა. ომის წინააღმდეგ აქტიურად გამოდის არასოციალისტური მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა დიდი ჯგუფი, რომლის მოსახლეობა მრავალ ასეულ მილიონ კაცს უდრის. თვალნათლივ ჩანს მშვიდობის მომხრეთა მძლავრი საყოველთაო - სახალხო მოძრაობა, გაიზარდა და გააქტიურდა მუშათა მოძრაობა კაპიტალის ქვეყნებში.

ამჟამად არიან მძლავრი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალები, რომელთაც სერიოზული საშუალებანი გააჩნიათ იმისათვის, რომ არ დაუშვან იმპერიალისტების მიერ ომის გაჩაღება, ხოლო თუ ისინი შეეცდებიან მის დაწყებას — გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ აგრესორებს, ჩაშალონ მათი ავანტიურისტული გეგმები.

ამიტომ ხალხებმა უდიდესი სიფხიზლე უნდა გამოიჩინონ; ომის საწინააღმდეგო ყველა ძალა ერთიანი ფრონტით უნდა ამოქმედონ და არ შეასუსტონ ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე დასმული იყო და გადაიჭრა კიდეც თანამედროვე საერთაშორისო განვითარების ზოგიერთი ძირეული საკითხები, რომლებიც განსაზღვრავენ არა მარტო ახლანდელი ამბების მიმდინარეობას, არამედ შემდგომ პერსპექტივებსაც. ესაა საკითხები ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ, თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობის შესახებ, სხვადასხვა ქვეყნების სოციალიზმში გადასვლის ფორმების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დიდი კმაყოფილებით აღნიშნა ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობის შემდგომი განმტკიცება, საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების მნიშვნელოვანი ზრდა. ყრილობამ დაამტკიცა დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. მეექვსე ხუთწლედის განხორციელება ახალი დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე. ახალ საბჭოთა ხუთწლედს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას ესწრებოდნენ 55 მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენლები. თავიანთ გამოსვლებში მათ განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი იმას, რომ სკკპ XX ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო და დემოკრატიული მოძრაობის განვითარებისათვის. საზღვარგარეთელი სტუმრების გამოსვლებმა თვალნათლივ აჩვენეს მთელი მსოფლიოს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დიადი ძალა.

სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებანი მთელი მსოფლიო საზოგადოებრივობის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. თუ საბჭოთა კავშირის მეგობრები მხურვალედ მიესალმებიან ამ ისტორიულ გადაწყვეტილებებს, სამაგიეროდ ჩვენი ქვეყნის მტრები აშკარა შეშფოთებასა და შიშს განიცდიან მშვიდობისა და სოციალიზმის ბანაკის ძალთა შემდგომი ზრდის პერსპექტივების წინაშე.

რეაქციული პრესა ამერიკის შეერთებული შტატებისა, ინგლისისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნებისა, რომლებიც შეკავშირებული არიან აგრესიული ატლანტიკური პაქტით, არ ძალუძს რა დუმილით აუაროს სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ცდილობს დაამახინჯოს და გააყალბოს ისინი. მაგრამ როგორადაც არ უნდა ცოფდებოდნენ მშვიდობის, თავისუფლებისა და პროგრესის მტრები, კომუნიზმის დიადი ყოვლისმძლე იდეები მაინც მიაღწევენ მსოფლიოს ყველა მშრომელის შეგნებამდე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი სამსახურს გაუწევენ არა მარტო სსრ კავშირის ხალხთა სისხლხორცეულ ინტერესებს, არამედ მთელი კაცობრიობის პროგრესული განვითარების კეთილშობილურ საქმესაც.

წლიურ გეგმას ვასრულებ

ბ. რასსადინი

მთელი ძალები მოვახმაროთ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას

ვიბრძოლოთ შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის!

★ ★

...ტრანსპორტის რეკონსტრუქციის გადამწყვეტი როლი

საუბარი გზის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროს ნ. ი. დეკანოსიძესთან

...XX ყრილობის დირექტი-...ულია სახალხო მეუ-...ულა დარგის მძლავრი ...ტური პროგრამა. ...ტვირთბრუნვა ...ის 42 პროცენტით უნდა ...1955 წელთან შედა-... ტვირთზიდვის ასეთი ... მოცულობის ასათვისე-...ორციელდება ლონის-...რკინიგზების უახლესი ...ტექნიკურვისათვის.

...მაგისტრალებზე გა-...მნიშვნელობა აქვთ ...ებს. ამიტომ მეექვსე ...ში რკინიგზის ტრანს-...ტექნიკური პროგრესის ...ძავარ ამოცანას წარ-...რკინიგზის გადაყვანა ...წვიდან ელმავლისა და ...წვეზე. ეს ლონისძი-...ორციელდება ისეთი ან-...რომ ხუთწლედის ბო-... ელმავლებითა და ...ით სრულდებოდეს ...ის სამუშაოთა 45 ...

...ს წლებში რკინიგზათა ...ანუხრელად გაიზრდება ...ელმავლებისა და თბო-...ოადენობა.

...ასიის რკინიგზაზე სა-...ევო პარკი აგრეთვე ...ვალერძიანი და ექვს-...ელმავლებით, რომელ-...ათ კონსტრუქციული ... 140-160 კილომეტრი ... შესამჩნევად აამა-...ნი მაგისტრალის მე-...ოდაძაბული უბნების ...ნარიანობას.

...1960 წლებში გათვალის-...ა მთელი რიგი ლონის-...განხორციელება საგაგო-...ის გადიდებისა და გაუმ-...ათვის. ეს სამუშაოები ...ევია ჩატარდეს ძირი-...ორი მიმართულებით. ...ი, ვაგონების ტარის წო-...ებისა და კონსტრუქ-...ედვით მათი მოძრაობის ...ი სიჩქარის ამაღლების ...ორეც, შეიქმნება მაღალი ...ა და ტვირთამწეობის ...ის ვაგონები. გათვალი-...ია შემსუბუქებული ...ციის მთლიანლითონ-...ბრული ვაგონების აგე-...ლთა ტვირთამწევი ძალა ...ს 60 ტონას, ხოლო ძარის მოცულობა — 120-140 კუბ-მეტრს. მათში გაუმჯობესდება ტვირთების კონსტრუქცია, რაც უზრუნველყოფს ჩაყრილი ტვირთების გადაზიდვას უფარებოდ. საექსპლოატაციოდ გადაეცემა უნივერსალური მთლიანლითონიანი დახურული ვაგონები 57-60 ტონის ტვირთამწევი ძალის, რომელთაც ექნებათ გასახსნელი სახურავი და სარკმელები იატაკში. რკინიგზის ტრანსპორტი მიიღებს 60-65 ტონის ტვირთამწევ ძალიან მთლიანლითონიან ნახევარვაგონებს. ამ ვაგონებში მექანიკურად გაიღება და დაიხურება სარკმელები. კეთდება ექვსღერძიანი ნახევარვაგონები, რომელთა ტვირთამწევი ძალა შეადგენს 90-100 ტონას. ახალი ვაგონები აგებული იქნება გორგოლაჭიან საკისარებზე.

მატარებელთა მოძრაობის სიჩქარის ამაღლება ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა მზარდი ტვირთნაკადის ათვისებისათვის.

სიჩქარის ამაღლება მიღწეულ იქნება პირველ რიგში მძლავრი ელმავლების ექსპლოატაციისა და ლიანდაგის ზედნაშენის გაუმჯობესების შედეგად.

მეექვსე ხუთწლედში ჩვენს მაგისტრალზე გათვალისწინებულია დიდი სამუშაოები სალიანდაგო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის გზის ძირითად მიმართულებებზე, განსაკუთრებით საუღელტეხილო და ელექტროფიცირებულ უბნებზე.

მეექვსე ხუთწლედში რკინიგზის ტრანსპორტზე ფართოდ დაინერგება ავტომატიკა და ტელემექანიკა. დიდი ყურადღება მიექცევა სადისპეტჩერო ცენტრალიზაციას, ავტომატურ სალოკომოტივო სიგნალიზაციას და ისრების გადაყვანას ელექტროცენტრალიზაციაზე. ამ სიახლეებით აღიჭურვება ამიერკავკასიის გზაც. უმნიშვნელოვანეს დამხარისხებელ სადგურებში ამოქმედდება სატელევიზიო დანადგარები, მოძრავი რადიოსადგურები ვაგონების ამწერებისა და გამსინჯველებისათვის, აპარატები ტვირთზიდვის საბუთების გადასაგზავნად.

დატვირთვა - გადმოტვირთვის სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი მექანიზებული იქნება.

სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეები წარმატებით ეუფლებიან ახალ ტექნიკას — ელმავლებს, აქტიურად მონაწილეობენ რა წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ელმავლთა მემანქანეებს სისტემატურად დაჰყავთ მძიმეწონიანი მატარებლები, გრაფიკის ზუსტი დაცვით ატარებენ სამგზავრო შემადგენლობებს.

სურათზე: მემანქანე **ს. გაგუა** (მარცხნივ) თავის თანაშემწე **მ. ესაკიასთან** ერთად ზუსტად განრიგებით მიიყვანა სოხუმში სამგზავრო მატარებელი.—ახლა შეიძლება დასვენება,— ამბობს ლოკომოტივის მძღოლი.

ფოტო ა. **შახბაზოვისა**

ინიციატივიანი მწონავი

ერევნის სადგურის მწონავი ამხ. ვირაბიანი მონდომებული და ინიციატივიანი მუშაკია. მან კარგად იცის თავისი საქმე, მოხერხებულად იყენებს ვაგონების შემჭიდროებული დატვირთვის მოწინავე ხერხებს.

ამას წინათ ამხ. ვირაბიანმა კარამელის ქარხნის მუშაკებთან თანამეგობრული შრომის შედეგად შეიმუშავა ამ საწარმოს პროდუქციის შემჭიდროებული დატვირთვის ხერხი. ქარხნის მისასვლელ ლიანდაგებში მიწოდებული № 707571 ვაგონის დატვირთვას მწონავი აწარმოებდა ასე: დიდ ყუთებს ტვირთავდა პატარა მოცულობის ყუთებთან ერთად, ხოლო მათ შორის აწყობდა კოლოფებს.

ეს იყო პირველი ცდა, მაგრამ მან მოლოდინს გადააჭარბა. ასეთი მეთოდით ვაგონში დაიტვირთა 1528 ადგილი, რაც 40 ტონას შეადგენდა. ეს 175 ადგილით და 5 ტონით მეტია, ვიდრე წინათ იტვირთებოდა თვითეულ ვაგონში.

ა. **ეგანიანი**

მთლიანად გამოვიყენოთ ელმავლების სიმძლავრე

თებერვლის ორ დეკადაში სამტრედიის განყოფილებაში გაუარესდა ლოკომოტივების გამოყენება. მათი საშუალო სადღეღამისო გარბენის ნორმის შესრულებას დააკლდა 23 კილომეტრი, ამასთან ზესტაფონის დეპოში — 31, სამტრედიის დეპოში — 27 კილომეტრი.

ზოგიერთი სადგურების მოძრაობის მუშაკთა უდისციპლინობა ხშირად იწვევს ელმავლების ზედმეტად მოცდენას მატარებელთა ფორმირების მოლოდინში. თებერვლის მარტო ორ დეკადაში სამტრედია -I და სამტრედია-II სადგურებში 16 ელმავალი დაწესებულზე 24 საათითა და 35 წუთით მეტ ხანს მოცდა გასაგზავნად მატარებელთა თავის დროზე გაუმზადებლობის გამო. კიდევ უფრო ცუდად არის საქმე შორაპნის და ზესტაფონის სადგურებში, სადაც იმავე მიზეზით 56 ელმავალი გადაჭერილ იქნა 100 საათზე მეტ ხანს.

თებერვლის ოც დღეში 12 ელმავალი ნორმაზე 67 საათით მეტხანს მოცდა ოჩამჩირის სადგურში, ელოდებოდა რა მატარებელს, 5 ლოკომოტივი დაწესებულზე 24 საათით მეტ ხანს მოცდა ბათუმში და 12 ელმავალი — 65 საათს — ფოთში.

მატარებელთა გადაჭერის შემთხვევები მასობრივი მოვლენა გახდა. მათ წესიერად აღრიცხავენ სალოკომოტივო განყოფილების მუშაკები, მაგრამ ამ აღრიცხვას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს იმიტომ, რომ ცნობების შედგენას არ მოსდევს შესაბამისი ზომების მიღება. განყოფილების აპარატში არავინ არ გრძნობს სათანადო პასუხისმგებლობას სალოკომოტივო პარკის მუშაობაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობისათვის, არ იბრძვის ლოკომოტივების უნაყოფო მოცდენის მიზეზების აღმოფხვრისათვის.

ასეთ მიზეზებს ეკუთვნის აგრეთვე მატარებელთა გადაჭერის შემთხვევები სადგურების მისასვლელებთან. 17 თებერვალს სამტრედიის სადგურის მისასვლელებთან წყვილი და კენტი მიმართულებებით მოცდა 5 მატარებელი, რომელთა ლოკომოტივები გადაჭერილ იქნა საერთოდ 11 საათითა და 30 წუთით. ამავე მიზეზით მეორე დღეს 2 ელმავალი გადაჭერილ იქნა გზაში 4 საათითა და 30 წუთით.

იმავე დროს სამტრედიის სადგურში ადგილი აქვს ლოკომოტივების მოლოდინში მატარებელთა მოცდენის შემთხვევებს.

ლოკომოტივების შენელებული ბრუნვა სალოკომოტივო ბრიგადების მუშაობის რეჟიმის დარღვევის მთავარი მიზეზია. თებერვლის მარტო 20 დღეში განყოფილების უფროსის დ. ბერიძის, საექსპლოატაციო და სალოკომოტივო განყოფილებათა უფროსების მ. მეავიასა და ნ. რუხაძის ბრძანებებით ადგილი ქონდა ბრიგადების დაწესებულზე მეტ ხანს სამუშაოზე ყოფნის 21 შემთხვევას. დაახლოებით დარღვევის ამდენიმე შემთხვევა დაშვებულ იქნა განყოფილების ხელმძღვანელთა ნებართვის გარეშე.

განსაკუთრებით მოუთმენელი მდგომარეობა შეექმნა ზესტაფონის დეპოში. აქ ბრიგადებს შორის თებერვლის 10 დღეში ადგილი ქონდა მემანქანეების და მათი თანაშემწეების სამუშაოზე 12-ზე მეტი საათით ყოფნის 22 შემთხვევას.

მრავალ ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს დისპეტჩერების დანაშაულით, რომლებიც უხეშ შეცდომებს უშვებენ მოძრაობის რეგულირებაში.

ხუთი ასეთი შემთხვევა დაუშვა დისპეტჩერმა ი. შერგელაშვილმა, სამი შემთხვევა — დისპეტჩერებმა ნ. პამპალაშვილმა, ო. გვაზავამ, ს. ლორიამ. თავისი შეცდომები რომ დაემალა, დისპეტჩერი ნ. პამპალაშვილი თვალთმაქცობას სჩადიოდა, დაგვიანებულ მატარებლებს დროზე მოსულებად უჩვენებდა.

ლოკომოტივების გადაჭერაში დიდი დანაშაული მიუძღვით მთელი რიგი სადგურების უფროსებს, როგორც, მაგალითად, შორაპნისას — ამხ. ჯორბენაძეს, ზესტაფონისას— ამხ. ცხადაძეს, ისინი ნაკლებად ზრუნავენ მატარებელთა თავის დროზე შედგენისა და გაგზავნისათვის.

ასეთი არანორმალური მდგომარეობა სამტრედიის განყოფილებაში კარგა ხანია არსებობს, და უცნაურია, რომ მას შეურიგდნენ განყოფილების ხელმძღვანელები.

ვ. ფაჩულია

მეტი უურადღება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას

...XX ყრილობის დირექტი-...ამდენი ხუთწლიანი გეგ-...ებს გათვალისწინებულია ...ა პროცესების შემდგომი ... როგორც შრომის ...ების ზრდის საფუძვე-...ს წინაი ეს საკითხი გან-...ა ნავთლულის კვანძის ...ომიტეტის სხდომაზე ...ა სერიოზული ნა-... შრომატევად სამუ-...ების მხრივ ნავ-...ლიანდაგო დისტან-...ციაზე - საგზაო სა-...ურისა და სამუშაოთა ...ბინეტში.

...ელ წლებში ეს საწარ-...ორეგ ახალი ტექნი-...ა მნიშვნელოვნად აამა-ღლა შრომის ნაყოფიერება, გაა-უმჯობესა სამუშაოთა ხარისხი. მაგრამ ტექნიკა ხშირად გამოუყენებელია, იყენებენ ხელის შრომას იქ, სადაც მექანიზმებს შეუძლიათ იმოქმედონ. ამ მხრივ დამახასიათებელია მდგომარეობა სალიანდაგო - საგზაო სამანქანო სადგურში, სადაც უფროსია შ. რუხაძე.

ამ საწარმოს გააჩნია შესანიშნავი მანქანა — სალიანდაგო გუთანი, რომელსაც მოძრავი გრაფიკის სწორი ორგანიზაციის პირობებში შეუძლია შეცვალოს ასობით მუშა ტიუვეტების გასუფთავებაზე, ჩაკრასა და მიწის ვაკისის დაგემვაზე. ერთი კილომეტრი ტიუვეტების ჩაკრა საშუალო გრუნტის პირობებში 3,5 ათასი მანეთი ჯდება, ხოლო სალიანდაგო გუთნის დახმარებით — 1.300 მანეთი.

სამწუხაროდ, ეს გუთანი ხშირად ცდება სალიანდაგო დისტანციის ზოგიერთ ხელმძღვანელთა კონსერვატიზმის გამო, რომლებსაც არ სურთ თავი შეიწუხონ „ფანჯრის“ მიღებისათვის გადასარბენებზე სამუშაოდ და სხვ. სალიანდაგო გუთნის მაქსიმალურად გამოყენებას ვერ ახერხებს სალიანდაგო სამსახურის ხელმძღვანელობაც.

სადახლოს კარიერში ხრეშის მოპოვება და დატვირთვა დღემდე ხელით წარმოებს. სალიანდაგო სამსახურის ხელმძღვანელობას რომ უზრუნველეყო კარიერი თუნდაც პატარა სიმძლავრის ექსკავატორით, მაშინ ხრეშის მოპოვების ღირებულება შემცირდებოდა დაახლოებით სამჯერ და განთავისუფლდებოდა ათობით მუშა, მაგრამ ეს არავის არ აღელვებს.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ნავთლულის სალიანდაგო დისტანციისა და სალიანდაგო - საგზაო სამანქანო სადგურის ავტოტრანსპორტის საშუალებანი ცუდადაა გამოყენებული. საწვავზე არარეალური ლიმიტის გამო, რაც დააწესა სალიანდაგო სამსახურმა. სამი-ოთხი წლის წინათ ნავთლულის სალიანდაგო დისტანციას გააჩნდა ხრეშის მომყრელი მანქანა, შემდეგ იგი გაგზავნეს სამინისტროს ერთ-ერთ ქარხანაში გადასაკეთებლად, მაგრამ უკან არ მიგვიღია.

მარაგნაწილების ნაკლებობის გამო სალიანდაგო - საგზაო სამანქანო სადგური ხშირად აჭიანურებს მანქანებისა და მექანიზმების შეკეთებას და მას უხარისხოდ აწარმოებს.

პარტიულმა კომიტეტმა მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება ნავთლულის კვანძის საწარმოებში მექანიზმების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ ბევრი რამ არის დამოკიდებული გზის სამმართველოს დახმარებაზე, კერძოდ, სალიანდაგო სამსახურის ხელმძღვანელთა დახმარებაზე.

ბ. ოვოიანი

ნავთლულის სალიანდაგო დისტანციის ინჟინერი